

## **მინის სურნელი — თხრობის სარჩულად (ორიოდე სიტყვა გიორგი სოსიაშვილის ნოველებზე)**

მავთულხლართი ხან ხილულია და ხანაც უხილავი, და ეს იმის კვალობაზე, ყოფით რეალობაში იჩენს თავს თუ ჩვენს სულში, როგორც მძიმე ნაჭდეური.

გიორგი სოსიაშვილის ნოველებში მავთულხლართი ხილულიცაა და უხილავიც, საზღვრად გავლებულიც (დროებითია თუ რა არის, საზღვარი საზღვარია) და სულზე ამოდაღულიც, ძალდაუტანებლად რომ განზოგადდება და გასიმბოლოვდება.

მავთულხლართებში გამოჭედილიყო თავის დროზე ქართული სოფელიც და საერთოდ ქართული სინამდვილაც ოთარ ჩხეიძის ნოველების ციკლშიც, სადაც ხელშესახებადაც ცნაურდებოდა ის თითქოსდა უხილავი, ბევრისათვის კი სრულიად შეუმჩნეველი მავთულხლართები, ჩვენს სოფლებს დაქცევას რომ უქადდა, თუკი ასე კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა — სოციალისტურ ეკონომიკურ ყოფასა და მეურნეობას თუ კვლავაც ეყოლებოდა დატყვევებული ის ბუნებრიობა, ურომლისოდაც აღარც სოფელია სოფელი, აღარც ქალაქი — ქალაქი და აღარც ადამიანი — ადამიანი: დავრდომილი, გამოფიტული, სასომიხდილი.

მავთულხლართების შემოტანით თხრობაში — ხილულისაც და უხილავისაც — დაშორდებოდა ოთარ ჩხეიძე ლირიკულ მოთქმას ქართული სოფლის დაქვეითებაზე (მისი მიმდევრები რასაც ვერ გაცდებოდნენ) და მძაფრად წარმოსახავდა მის ტრაგედიას, სატირული სურათები მწვავე პროტესტადაც რომ აღიქმებოდა.

ეს ტრაგედია ახლა გიორგი სოსიაშვილის ნოველებშიც გადანაცვლებულა, ოთარ ჩხეიძეს რომ ჩადგომია

კვალში მავთულხლართების წარმოჩენის სულისკვეთებითაც და სტილურ-ენობრივი ძიებებითაც, მისი სტილიზებული მეტყველების ზოგიერთ დეტალსაც რომ ითავისებს და ისე ჩაუფენს თხრობას, მკითხველისათვის თვალნათლივი იყოს გადაძახილი წინამორბედ მწერალთან.

ოთარ ჩხეიძის ნოველებში ყელქცეული რეალურად არსებული სოფელიცაა და ის განზოგადებული მხატვრული სამყაროც, ქართული სატკივარი ერთიანად რომ უნდა მოიქციოს თავის წიაღში.

და გიორგი სოსიაშვილის ნოველებშიც დიცი რეალურად არსებული სოფელიცაა და ის განზოგადებული მხატვრული სამყაროც, ქართული სატკივარი ერთიანად რომ უნდა მოიქციოს თავის წიაღში.

ეროვნული ფესვები ძალდაუტანებლად შიშვლდება ერთგანაც და მეორეგანაც.

მწერლური ხელოვნებაა განსხვავებული, თორემ საფიქრალი და სანუხარი — ერთია, გიორგი სოსიაშვილის მარჯვედ მიგნებულ, მძაფრ სიუჟეტებში ხშირად რომ ტრიალებს ის სულიერი საერთო, ასერიგად რომ აკავშირებს ერთმანეთთან ქართველებსა და ოსებს; და არც არავითარი გაუგებრობა მოხდებოდა ჩვენს შორის, ხელოვნურად შექმნილი ვითომდა ეთნოკონფლიქტი რომ არა, სინამდვილეში — რუსული იმპერიალიზმის გამოვლინება, „აფხაზური კონფლიქტისა“ არ იყოს.

თავისი პირუთვნელი მემატიანენი გამოუჩნდნენ ქართულ-აფხაზურ ტრაგედიას, ჩინებული მწერლები რომ გაითავისებდნენ იმ მღელვარებასა და სატკივარს.

და სულ უფრო კანთიელად იკვეთებიან ქართულოსური ტრაგედიის მიუკერძოებელი აღმწერნიც, ზაურ ნაქაძესა და ვანო ჩხიკვაძეს გიორგი სოსიაშვილიც რომ ამო-

უდგა მხარში და შეეცადა მხატვრულ სურათებად გარდაე-  
სახა ისიც, რაც ხელისგულზე იდო, და ისიც, თუ როგორ  
ესახება ამ ორი ხალხის მომავალი, მათი თანაცხოვრების  
გარდუვალობა, რუსულ კაბალას გამოშორებული, და, ამ-  
დენად, წრფელი და ბუნებრივი...

როგორ წარმოუდგება მავთულხლართების ბედი ახა-  
ლი თაობის მწერალს?

როგორ და:

მავთულხლართები ვერ აოკებს ქართველთა და ოსთა  
ურთიერთტოლვას — მათ წარმომადგენელთა შორის გა-  
ჩენილ მეგობრობას, რომლის საწინდარიც თუნდ ბალი უნ-  
და აღმოჩნდეს, ხან ერთი რომ პატრონობს და ხანაც მეო-  
რე; ეღობება მათ შორის ჩასახულ სიყვარულსაც, ოჯახის  
შექმნით რომ უნდა დაგვირგვინდეს... და ეს ყოველივე წარ-  
მოსახულია ლირიზმითაც, დრამატიზმითაც და ნატიფი  
იუმორითაც, ასე რომ შვენიის რელიეფურად გამოკვეთილ  
ხასიათებს.

ეს ლირიზმია, ეს დრამატიზმი და იუმორია, მძაფრად  
რომ აღბეჭდავს მკითხველის ცნობიერებაში ერთიერთმა-  
ნეთზე მღელვარე ამბებს, აქაურ ყოფასთან ერთად დასაფ-  
ლეთში ცხოვრების სურათებიც ძალდაუტანებლად რომ  
იჩენს თავს, ჩვენი დღევანდელობისათვის ასერიგად ნიშან-  
დობლივი.

და რაც განსაკუთრებით საგულისხმოა და გასათვა-  
ლისწინებელი ყველა თაობის მწერლისათვის — თხრობაში  
არსად იჭრება პუბლიცისტურობა, ყოველთვის ზოგადად  
რომ ემჩნევა ხოლმე მხატვრულ აზროვნებას.

დრამატიზმისა და იუმორის მარჯვე მონაცვლეობა,  
მახვილგონივრულად აგებული სიუჟეტები თითქოს თვით-  
ვე მიისწრაფიან სცენისაკენ — რიგიანი რეჟისორის ხელში

მოხდენილადაც რომ გადაებმიან ერთმანეთს და თუნდ ნოველების ამ წიგნიდან — კარგად გააზრებული ინსცენირების მეოხებით — შესაძლოა ერთი-ორი ჩინებული სპექტაკლიც ამოიზარდოს, თორემ ადრე თუ გვიან გიორგი სოსიამვილმა შესაძლოა დრამატურგიასაც არანაკლები წარმატებით მოჰკიდოს ხელი.

და ახლა უკვე აქ იჩენს თავს მინის მძაფრი შეგრძნება, რასაც ვერავისგან გადმოიღებ, თუ შენი არ არის, შენეული, შენს გულსა და სულში გამოტარებული, დიდი სიფაქიზით რომ უნდა გადმოიღვაროს თხრობაში.

ახლა უკვე აქ იელვებს დროდადრო მამის ლანდი, როგორც შეხსენება ფესვების, ტრადიციების, სიცოცხლის დაუსაბამობისა და უსასრულობის.

ახლა უკვე აქ გაისმის რუს ოფიცერთა და ჯარისკაცთა ცინიკური ფრაზები, თან რომ ძალადობენ და თანაც რომ იმადლებიან.

ახლა უკვე აქ შეებმის ამ ცინიზმს ქართული და ოსური სადარდებელიც და ის დაუთმობლობაც, მავთულხლართი რამაც უნდა გაგლიჯოს და ის ხანჯალიც ამოგვაძროს ქართლის გულიდან, ახლა ასე დაუდობლად რომ გვიტრიალებს მთელ არსებაში და ქვეყნის წინსვლას ეღობება, იმ სახელმწიფოებრიობისა, რომლის დრამატულ რეალობასაც აგერ დიცის გახლეჩილი მიწაც ასე მწვავედ შეგვაგრძნობინებს: ყოფითი დიცისაც, მხატვრულ ფანტაზიაში გადანაცვლებული დიცისაც.

ახლა უკვე აქ გამორეკავს გლეხკაცი პიარისათვის ატრუებულ ჟურნალისტებსა თუ არასამთავრობოებს, სპეკულაციის საგნად რომ უქცევიათ საქვეყნო ტრაგედია და მოჩვენებითი მზრუნველობით მხოლოდ ართულებენ, ამწვავენ ვითარებას, და ტრაგიზმს ფარსად აქცევენ.

ახლა უკვე აქ ჩაყურყუმელავდებიან ყმანვილები მინის შეგრძნება-სურნელებაში, რათა აქედან განიცადონ ნამდვილი ზეცაც და ნამდვილი მზეც. ხნულებსა თუ ნანვე-რალში სიარულისას სულ სხვაგვარად აღიქმება გარემომ-ცველი სინამდვილე.

ახლა უკვე აქ მოძებნიან ერთმანეთს ეთნიკურად სხვადასხვა წარმოშობის პერსონაჟები — ჭეშმარიტი ძმობა-მეგობრობისა და სიყვარულის დასტურად, და არა მოჩვენებითის, ძარღვგამოცლილის, ლოზუნგურის, ტკივი-ლებს სამასხარაოდ რომ აქცევს და ამალღებულ იდეალს აკნინებს და ანიადაგებს.

მოძებნიან სცენაზეც.

მოძებნიან დარბაზშიც.

და მოძებნიან იმ მიწაზეც, რომელიც მავთულხლართებით დაქსელილა და რომლის იდუმალი სურნელიც და მადლიც ანიჭებს გიორგი სოსიაშვილის მხატვრულ წარმოსახვებს სიმკვეთრესა და ცხოველმყოფელობას.

ჯერჯერობით კი...

მისი ტკივილები ნოველებს მოაქვს, ტრაგიკული სახელწოდებით „მავთულხლართი“, ერთნაირი უღმობელობით რომ დაჩნევია ჩვენს მიწა-წყალსაც და ჩვენს სულებსაც, უშუალოდ რაზეც გადის ის დროებითი საზღვარი.

\*\*\*

დროებითი, დროებითი, დროებითი — გვიბეჯითებს ამ ნოველებში მობოროალე მამის ლანდი.

**როსტომ ჩხეიძე**